3 8 3
1970/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 5 (352)

1970 წლის მაისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 5 (352) მაისი 1970 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

11.363

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

71. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ნ. ციციშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

72. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. გ. თუხარელის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

73. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.

74. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ.

75. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. თბილისის ლენინის, კალინინის, ორჯონიკიძის და ოქტომბრის სახელობის რაიონების ახალი საზღვრების დამტკიცების შესახებ.

76. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ.

77. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს აარიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას.

78 ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

79. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქ ტუსაფაში და ხაშურის რაიონში დეპუტატთა ჯგუფების მუშაობის შესახებ.

80. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. მ. ჩიქვინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად დაშვების შესახებ.

განყოფილება მეორე

81. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

82. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. მ. ლაბახუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

83. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. გ. რევაზიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

84. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ნ. გაბისონიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

85. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ა. ნ. რაზმაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

86. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. მ. ლელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

87. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ა დოლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

88. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ნ. მირიანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

89. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. პოკროვსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

90. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ლ. ციციშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

91. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. ჭიპაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

92. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ მ. ბ. კანკავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში
საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

71 ამხ. ი. ნ. ციციშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ირაკლი ნიკოლოზის ძე **ციციშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 29 აპრილი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

72 ამხ. ო. ბ. თუხარელის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ამხ. ოთარ გიორგის ძე **თუხარელი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 29 აპრილი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

73 ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

„საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ 1968 წლის 25 დეკემბრის კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ შემდეგ კანონმდებლო აქტებში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ:

1. „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები 1962 წ., № 11, მუხ. 159 და № 34, მუხ. 541; 1964 წ., № 4, მუხ. 80; 1966 წ., № 8, მუხ. 132; 1967 წ., № 6, მუხ. 350; 1968 წ., № 1 მუხ. 4 და № 2, მუხ. 14; 1969 წ., № 12, მუხ. 226):

მე-13 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ცალკეული სახის დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით დაჯარიმების უფლება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობებით შეიძლება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოებს, მათს აღმასრულებელ კომიტეტებს ან სასოფლო, სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ ადმინისტრაციულ კომისიებს“;

მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო (ქალაქებში, რომელთაც რაიონული დაყოფა არ აქვთ) საბჭოები ან, საჭირო შემთხვევაში, სასოფლო, სადაბო საბჭოები — ზემდგომი საბჭოს აღმასკომის ნებართვით, შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან ქმნიან ადმინისტრაციულ კომისიებს საბჭოების დეპუტატებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. ეს კომისიები თავიანთ საქმიანობაში ეყრდნობიან ფართო აქტივს.

ადმინისტრაციული კომისიების შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიებისა და ადმინისტრაციულ დარღვევათა საქმის წარმოების წესის შესახებ“;

მე-15 მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „ადმინისტრაციულ კომისიებს“ შემდგომ დაემატოს სიტყვები: „აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოებს, მათს აღმასრულებელ კომიტეტებს ან სასოფლო, სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ ადმინისტრაციულ კომისიებს“.

მე-16 მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „რაიონულ, საქალაქო“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სასოფლო, სადაბო“.

2. „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიებისა და ადმინისტრაციულ დარღვევათა საქმის წარმოების წესის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 27 ივლისის ბრძანებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები 1962 წ., № 23, მუხ. 377):

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულებისა და დებულების სახელწოდებას სიტყვების „რაიონული, საქალაქო“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სასოფლო, სადაბო“;

დებულების 1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო (ქალაქებში, რომელთაც რაიონული დაყოფა არ აქვთ) საბჭოები ან, საჭირო შემთხვევაში, სასოფლო, სადაბო საბჭოები — ზემდგომი საბჭოს აღმასკომის ნებართვით, საბჭოების დეპუტატებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან ქმნიან ადმინისტრაციულ კომისიებს. შესაბამისი საბჭოების რწმუნების ვადით, მათს აღმასრულებელ კომიტეტებთან, თავმჯდომარის (აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ან წევრის), თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და კომისიის არანაკლებ 4 წევრის შემადგენლობით.

ადმინისტრაციული კომისიები თავის საქმიანობაში ეყრდნობიან საზოგადოებრიობის ფართო აქტივს“;

მე-8 მუხლში სიტყვების „რაიონულ, საქალაქო“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სასოფლო, სადაბო“;

მე-13, მე-15 და 29-ე მუხლებში ამოღებულ იქნეს სიტყვები „რაიონული, საქალაქო“ და მათ ნაცვლად დაემატოს სიტყვა „შესაბამის“;

42-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სხვა სასჯელის დადების გამო ადმინისტრაციული კომისიის დადგენილების გასაჩივრება შეიძლება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომელთანაც არსებობს ეს კომისია“.

3. „იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც იყიდიან პურსა და პურეულის სხვა პროდუქტებს პირუტყვისა და ფრინველის გამოსაკვებად“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები 1963 წ., № 14, მუხ. 239):

პირველი მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ან სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ადმინისტრაციული კომისია“.

4. „ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 11 მარტის ბრძანებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები 1964 წ., № 8, მუხ. 151):

მეორე მუხლს სიტყვების „რაიონული, საქალაქო“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სასოფლო, სადაბო“.

5. „ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის, გამოყენებისა და შენახვის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები 1968 წ., № 12, მუხ. 174):

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-4 მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „რაიონული, საქალაქო“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სასოფლო, სადაბო“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 29 აპრილი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

74 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის 1969 წლის 11 ივლისის კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი დამატებანი და ცვლილებანი:

1. 25-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 25. თავისუფლების აღკვეთა

თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრება ვადით არა ნაკლებ სამი თვისა და არა უმეტეს ათი წლისა, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გამო და განსაკუთრებით საშიში რეციდივისტებისათვის, იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის კანონმდებლობით და ამ კოდექსით — არაუმეტეს თხუთმეტი წლისა.

თუ სასჯელი ენიშნება იმ პირს, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი, თავისუფლების აღკვეთის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ათ წელს.

სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდა წარმოებს საერთო, გაძლიერებული, მკაცრი და განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში ან საპყრობილეში, აგრეთვე საერთო და გაძლიერებული რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში.

შრომა-გასწორების კოლონიებში სასჯელის მოხდა დაენიშნებათ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულთ —

მამაკაცებს, რომლებიც თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული არიან პირველად, არამძიმე დანაშაულისათვის,—საერთო რეჟიმის კოლონიებში; რომლებიც თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული არიან პირველად, მძიმე დანაშაულისათვის, იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 25[1] მუხლით (გარდა განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისა) — გაძლიერებული რეჟიმის კოლონიებში; რომლებიც მსჯავრდებული არიან გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (65-ე—74-ე მუხლები) ან თუ წინათ მოხდილი ჰქონდათ სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, მკაცრი რეჟიმის კოლონიებში; რომლებიც აღიარებული არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად — განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიებში;

ქალებს, რომლებიც განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად არიან აღიარებული, აგრეთვე მსჯავრდებული არიან განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (65-ე—74-ე მუხლები) მკაცრი რეჟიმის კოლონიებში; თავისუფლების აღკვეთით სხვა მსჯავრდებულ ქალებს — საერთო რეჟიმის კოლონიებში;

სასჯელის მოხდა შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში დაენიშნებათ:

მამრობითი სქესის არასრულწლოვანთ, რომლებიც თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული არიან პირველად, არამძიმე დანაშაულისათვის, აგრეთვე მდედრობითი სქესის არასრულწლოვანთ — საერთო რეჟიმის კოლონიაში;

მამრობითი სქესის არასრულწლოვანთ, რომლებსაც წინათ მოხდილი ჰქონდათ სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, აგრეთვე მათ, რომლებიც მსჯავრდებული არიან თავისუფლების აღკვეთით ვადით არანაკლებ ხუთი წლისა, შემდეგ მძიმე დანაშაულთა გამო: ბანდიტიზმისათვის (მუხლი 78-ე), ისეთი მოქმედების განზრახ ჩადენისათვის, რასაც მოჰყვა მატარებლის მარცხი (მუხლი 87-ე), ძარცვის გზით სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების გატაცებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (92-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები და 151-ე მუხლის მეორე ნაწილი), ყაჩაღობისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით (მუხლები 96-ე და 152-ე), სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურებისა ან დაზიანებისათვის, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგი (მე-100 და 157-ე მუხლების მეორე ნაწილები), განზრახ მკვლელობისათვის (მუხლები 104-ე და 105-ე), სხეულის განზრახი მძიმე დაზიანებისათვის (მუხლი 110-ე), გაუპატიურებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (117-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები), საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის (მუხლი 209[1]), ბოროტი ან განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის (228-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები), ყაჩაღური თავდასხმით ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცებისათვის (240-ე მუხლის მესამე ნაწილი) — გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში.

სასამართლო უფლებამოსილია მსჯავრდებულს, რომელიც ცნობილი არ არის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად, მისი პიროვნების, ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, აგრეთვე საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, თავისუფლების აღკვეთის მოხდა დაუნიშნოს ნებისმიერი სახეობის რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში, გარდა განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიისა, ხოლო მამრობითი სქესის არასრულწლოვან მსჯავრდებულთ — საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიებში, ნაცვლად გაძლიერებული რეჟიმის კოლონიებისა. მიღებული გადაწყვეტილების მოტივები უნდა აღინიშნოს განაჩენში.

თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მთელი ვადის ან მისი ნაწილის განმავლობაში საპყრობილეში მოთავსებით შეიძლება დაენიშნოს განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს, აგრეთვე პირთ, რომლებიც მსჯავრდებული არიან მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით ვადით არანაკლებ ხუთი წლისა იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 25[1] მუხლით.

მსჯავრდებულისათვის დანიშნული შრომა-გასწორების დაწესებულების სახეობის შეცვლას აწარმოებს სასაძართლო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით".

2. დაემატოს კოდექსს 25[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 25[1]. მძიმე დანაშაული

მძიმე დანაშაულად ჩაითვლება: განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული (მუხლები 65-ე — 74), ბანდიტიზმი (მუხლი 76-ე), მოქმედება, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს შრომაგასწორების დაწესებულებათა მუშაობაში (მუხლი 78[1]), მასობრივი არეულობა (მუხლი მე-80), მიმოსვლის გზებისა და სატრანსპორტო საშუალებათა დაზიანება (მუხლი 87-ე), ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება (მუხლი 88-ე), სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა (მუხლი 89-ე), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დიდი და განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გატაცება (91-ე, 92-ე, 93-ე, 94-ე მუხლების მესამე ნაწილები, მუხლი 96[1]), გაძარცვა დამამძიმებელ გარემოებებში (92-ე და 151-ე მუხლების მეორე ნაწილები), ყაჩაღობა (მუხლები 96-ე და 152-ე), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება დამამძიმებელ გარემოებებში (მე-100 და 157-ე მუხლების მეორე ნაწილები), განზრახი მკვლელობა (მუხლები 104-ე და 105-ე), სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება (მუხლი 110-ე), გაუპატიურება (მუხლი 117-ე), სპეკულაცია დამამძიმებელ გარემოებებში, (165-ე მუხლის მეორე ნაწილი), ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება დამამძიმებელ გარემოებებში (187-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები), ქრთამის აღება, მექრთამეობაში შუამავლობა, ქრთამის მიცემა (მუხლები 189-ე, 189[1] და 190-ე), უდანაშაულო პირის შეგნებულად მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში დამამძიმებელ გარემოებებში (192-ე მუხლის მეორე ნაწილი), წინასწარ შეცნობით უკანონო განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გამოტანა, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა (193-ე მუხლის მეორე ნაწილი), ჩვენების მიცემის იძულება დამამძიმებელ გარემოებებში (195-ე მუხლის მეორე ნაწილი), პატიმრობიდან ან თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან გაქცევა დამამძიმებელ გარემოებებში (203-ე მუხლის მეორე ნაწილი), საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა (მუხლი 209[1]), ბოროტი ან განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობა (228-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები), ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის ან გარყვნილობის ბუდის მოწყობა (230-ე მუხლის პირველი ნაწი-

ლი), ყაჩაღური თავდასხმით ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცება (240-ე მუხლის მესამე ნაწილი), ნარკოტიკული ნივთიერების დამზადება ან გასაღება (252-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები), ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცება (მუხლი 252[1]), ხაშხაშის ან ინდური, სამხრეთ მანჯურიის და სამხრეთ ჩუიის კანაფის დათესვა (მუხლი 253-ე), ურჩობა, დამამძიმებელ გარემოებებში (256-ე მუხლის „ბ" და „გ" პუნქტები), უფროსისათვის წინააღმდეგობის გაწევა ან მისი იძულება დაარღვიოს სამსახურებრივი მოვალეობა (მუხლი 258-ე), უფროსის მიმართ ძალმომრეობითი მოქმედება (მუხლი 260-ე), დეზერტირობა (მუხლი 265-ე), სამხედრო ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება დამამძიმებელ გარემოებებში (269-ე მუხლის „ბ" და „გ" პუნქტები), საბრძოლო მორიგეობის შესრულების წესების დარღვევა (275-ე მუხლის „ა", „გ" და „დ" პუნქტები)".

3. 28-ე მუხლის მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელ სამუშაოთა მოხდის წესს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

შრომისუუნარო პირებს გამასწორებელი სამუშაოები არ დაენიშნებათ. თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების ნაცვლად სასამართლო მათ დაუნიშნავს ჯარიმას ან საზოგადოებრივ გაკიცხვას.

თუ მსჯავრდებული კეთილსინდისიერად მუშაობდა და სანიმუშოდ იქცეოდა თავისუფლების აღუკვეთლად გამასწორებელი სამუშაოების მოხდის პერიოდში, სასამართლოს შეუძლია, სასჯელის მოხდის შემდეგ, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან მშრომელთა კოლექტივის შუამდგომლობით, გამასწორებელი სამუშაოების მოხდილი დრო ჩაუთვალოს შრომის საერთო სტაჟში.

თუ პირი, რომელსაც მიესაჯა გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად, ბოროტად არიდებს თავს სასჯელის მოხდას, სასამართლოს შეუძლია გამასწორებელი სამუშაოების მოუხდელი ვადა მას შეუცვალოს თავისუფლების აღკვეთის იმავე ვადით".

4. 44-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 44. განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი

განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად სასამართლოს განაჩენით შეიძლება ცნობილ იქნეს პირი

1) რომელიც წინათ მსჯავრდებული იყო განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (მუხლი 65-ე—74-ე), ბანდიტიზმისათვის (მუხლი 78-ე), ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადების ან გასაღებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (88-ე მუხლის მეორე ნაწილი), სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (89-ე მუხლის მეორე ნაწილი), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებისათვის (მუხლი 96[1]), ყაჩაღობისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით დამამძიმებელ გარემოებებში (96-ე და 152-ე მუხლების მეორე ნაწილები), გან-

ზრახ მკვლელობისათვის, რომელიც გათვალისწინებულია 104-ე, 105-ე მუხლებით და 258-ე მუხლის „გ“ პუნქტით (გარდა დედის მიერ თავისი ახალშობილი ბავშვის მკვლელობისა), გაუპატიურებისათვის, რომელიც ჩადენილია ქალის მიერ ან რომელსაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა, აგრეთვე არასრულწლოვანის გაუპატიურებისათვის (117-ე მუხლის მესამე ნაწილი), საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის (მუხლი 209[1]), და რომელმაც კვლავ ჩაიდინა რომელიმე ზემოჩამოთვლილი დანაშაული, რისთვისაც მას ესჯება თავისუფლების აღკვეთა ვადით არანაკლებ ხუთი წლისა;

2) რომელიც წინათ, ნებისმიერი თანმიმდევრობით, ორჯერ იყო მსჯავრდებული თავისუფლების აღკვეთით განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (მუხლები 65-ე—74-ე), ბანდიტიზმისათვის (მუხლი 78-ე), მასობრივი არეულობისათვის (მუხლი მე-80), ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადებისა და გასაღებისათვის (მუხლი 88-ე), სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის (მუხლი 89-ე), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (91-92-ე, 93-ე, 94-ე მუხლების მეორე და მესამე ნაწილები და მუხლი 96[1]), ყაჩაღობისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით (მუხლები 96-ე და 152-ე), განზრახ მკვლელობისათვის, რომელიც გათვალისწინებულია 104-ე, 105-ე მუხლებით და 258-ე მუხლის „გ“ პუნქტით (გარდა დედის მიერ თავისი ახალშობილი ბავშვის მკვლელობისა), სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის (მუხლი 110-ე), გაუპატიურებისათვის (მუხლი 117-ე), ქურდობის, გაძარცვის ან თაღლითობისათვის, რომლებიც ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში (150-ე—151-ე და 153-ე მუხლების მეორე ნაწილები), სპეკულაციისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (165-ე მუხლის მეორე ნაწილი), ქრთამის აღებისათვის (მუხლი 189-ე), საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის (მუხლი 209[1]), განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის (228-ე მუხლის მესამე ნაწილი), ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალების ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (240-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები), ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადების, შეძენისა ან შენახვისათვის, აგრეთვე ასეთ ნივთიერებათა გასაღებისათვის (252-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები), და რომელმაც კვლავ ჩაიდინა რომელიმე ზემოჩამოთვლილი დანაშაული, რისთვისაც მას სასჯელად ეფარდება თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით;

3) რომელიც წინათ, ნებისმიერი თანმიმდევრობით, სამჯერ ან მეტჯერ იყო მსჯავრდებული თავისუფლების აღკვეთით ბოროტი ხულიგნობისათვის (228-ე მუხლის მეორე ნაწილი) ან ამ მუხლის პირველი ნაწილის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი რომელიმე დანაშაულისათვის და რომელმაც კვლავ ჩაიდინა ბოროტი ხულიგნობა ან ამ მუხლის პირველი ნაწილის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი რომელიმე დანაშაული, რისთვისაც მას სასჯელად ეფარდება თავისუფლების აღკვეთა;

4) რომელიც იხდის სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით ამ მუხლის პირველი ნაწილის მე-2 და მე-3 პუნქტებში ჩამოთვლილი დანაშაულისათვის და რომელმაც კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული რისთვისაც მას სასჯელად ეფარდება თავისუფლების აღკვეთა ვადით არა ნაკლებ ხუთი წლისა.

განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო მხედველობაში მიიღებს დამნაშავის პიროვნებას, ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს და მის მოტივებს, დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხს, დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის ხარისხსა და ხასიათს და საქმის სხვა გარემოებებს. სასამართლოს გადაწყვეტილება მოტივირებულ უნდა იქნეს განაჩენში.

განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობის საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში არ იღებენ ნასამართლობას თვრამეტი წლის ასაკამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, აგრეთვე ნასამართლობას, რომელიც მოხსნილია ან გაქარწყლებულია კანონით დადგენილი წესით.

ნასამართლობის მოხსნის შემთხვევაში უქმდება პირის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად აღიარება.

სსრ კავშირის სისხლის სამართლის კანონების და ამ კოდექსის ის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, გამოყენებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ პირი კანონით დადგენილი წესით იყო ცნობილი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ამ დანაშაულის ჩადენამდე".

5. 46-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ თავისუფლების აღკვეთის ან გამასწორებელ სამუშაოთა სახით სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო, გაითვალისწინებს რა საქმის გარემოებებს და დამნაშავის პიროვნებას, დარწმუნდება, რომ მიზანშეუწონელია დანმაშავემ მოიხადოს დანიშნული სასჯელი, მას შეუძლია დაადგინოს, რომ სასჯელი პირობით არ იქნეს გამოყენებული დამნაშავის მიმართ, ამასთან განაჩენში აუცილებლად უნდა აღინიშნოს პირობითი მსჯავრის დადების მოტივები. ამ შემთხვევაში სასამართლო ადგენს, რომ განაჩენი არ მოიყვანება სისრულეში, თუ სასამართლოს მიერ განსაზღვრული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მსჯავრდებული არ ჩაიდენს ახალ განზრახ დანაშაულს".

„თუ პირობით მსჯავრდებული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ჩაიდენს ახალ განზრახ დანაშაულს, რისთვისაც სასჯელად ეფარდება თავისუფლების აღკვეთა, სასამართლო მას სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის 42-ე მუხლით გათვალისწინებული წესებით".

6. 54-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 54. სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით

იმ პირთ, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება, გამასწორებელი სამუშაოები ან სადისციპლინო ბატალიონში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგზავნა, გარდა ამ კოდექსის 54[1] მუხლში ჩამოთვლილი პირებისა, შეიძლება შეეფარდოთ სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით.

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულმა სანიმუშო ყოფაქცევითა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა თავისი გამოსწორება.

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებას ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლას უფრო მსუბუქი სასჯელით აწარმოებს სასამართლო მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით, სასჯელის სისრულეში მომყვანი ორგანოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის ერთობლივი წარგინებით, ხოლო, თუ პირი სასჯელს იხდის სადისციპლინო ბატალიონში, — სადისციპლინო ბატალიონის მეთაურთა წარდგინებით.

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მას შემდეგ, რაც მსჯავრდებულს ფაქტიურად მოხდილი ექნება დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი.

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ შეიძლება შეეფარდოს იმ პირთ

1) რომელნიც მსჯავრდებული არიან განზრახი დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით სამ წელზე მეტი ვადით:

2) რომელთაც წინათ მოიხადეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში და ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე კვლავ ჩაიდინეს განზრახი დანაშაული, რისთვისაც მათ მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა;

3) რომელთაც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასჯელის მოხდის დროს ჩაიდინეს განზრახი დანაშაული, რისთვისაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა.

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების ან სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლისას, მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს აგრეთვე დამატებითი სასჯელისაგან, როგორიცაა გადასახლება, გასახლება, გარკვეული თანამდებობის დაკავებისა ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

გადასახლებით, გასახლებით ან გამასწორებელი სამუშაოებით თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილის შეცვლისას მათი დანიშვნა ხდება ამ სახეობის სასჯელებისათვის კანონით დადგენილი ვადის ფარგლებში და არ უნდა აღემატებოდეს თავისუფლების აღკვეთის მოუხდელ ვადას.

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის გამოყენებისას სასამართლოს შეუძლია დააკისროს მშრომელთა გარკვეულ კოლექტივს, ამ უკანასკნელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანხმობით, სასჯელის მოუხდელი ნაწილის ვადის გასვლამდე მეთვალყურეობა გაუწიოს ვადამდე პირობით გათავისუფლებულს ან იმ პირს, რომელსაც სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეცვლილი აქვს უფრო მსუბუქი სასჯელით, და გასწიოს მასთან აღმზრდელობითი მუშაობა.

თუ სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებულმა პირმა სასჯელის მოუხდელი ნაწილის განმავლობაში ჩაიდინა ახალი განზრახი დანაშაული, რისთვისაც მსჯავრი ედება თავისუფლების აღკვეთით, სასამართლო მას დაუნიშნავს სასჯელს ამ კოდექსის 42-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. ამასთან ერთად სასამართლოს შეუძლია ძირითად სასჯელს მიუმატოს პირველი განაჩენით დანიშნული სასჯელის დამატებითი ზომა".

7. დაემატოს კოდექსს 54[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 54[1]. სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების და სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის გამოუყენებლობა

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებას და სასჯელის შეცვლას უფრო მსუბუქი სასჯელით არ იყენებენ იმ პირის მიმართ

1) რომელიც ცნობილია განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად;

2) რომელიც წინათ მსჯავრდებული იყო თავისუფლების აღკვეთით განზრახი დანაშაულისათვის და სასჯელისაგან ვადამდე პირობით იყო გათავისუფლებული ან სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სასჯელით ჰქონდა შეცვლილი, — თუ ამ პირმა სასჯელის მოუხდელი ვადის გასვლამდე კვლავ ჩაიდინა ახალი განზრახი დანაშაული, რომლისთვისაც იგი მსჯავრდებულია თავისუფლების აღკვეთით;

3) რომელიც მსჯავრდებულია განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (მუხლები 65-ე—74-ე), ბანდიტიზმისათვის (მუხლი 78-ე), მოქმედებისათვის, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაობაში (მუხლი 78[1]), ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადებისა ან გასაღებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (88-ე მუხლის მეორე ნაწილი), სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (89-ე მუხლის მეორე ნაწილი), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით (მუხლი 96[1]), ყაჩაღობისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით, დამამძიმებელ გარემოებებში (96-ე და 152-ე მუხლების მეორე ნაწილები), განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (მუხლი 104-ე და 258-ე მუხლის „გ" პუნქტი), გაუპატიურებისათვის, რომელიც ჩადენილია ჯგუფის მიერ ან რომელსაც განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა, აგრეთვე არასრულწლოვანის გაუპატიურებისათვის (117-ე მუხლის მესამე ნაწილი), ქრთამის აღების, ქრთამის მიცემის ან მექრთამეობაში შუამავლობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (189, 189[1] და 190-ე მუხლების მეორე ნაწილები), საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის, დამამძიმებელ გარემოებებში (მუხლი 209[1]), ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის მოწყობისათვის (230-ე მუხლის პირველი ნაწილი), განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის (228-ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლის მესამე ნაწილი), ყაჩაღური თავდასხმით ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცებისათვის (240-ე მუხლის მესამე ნაწილი), ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა დამზადებისა ან გასაღებისათვის (252-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები) და ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცებისათვის (252[1] მუხლი)".

8. 55-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 55. სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით იმ პირთა მიმართ, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს თვრამეტი წლის ასაკამდე

იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან თავისუფლების აღკვეთით ან გამასწორებელი სამუშაოებით თვრამეტი წლის ასაკამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით.

თვრამეტი წლის ასაკამდე ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიმართ სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან სანიმუშო ყოფაქცევით, შრომისა და სწავლისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა თავისი გამოსწორება.

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებას და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლას უფრო მსუბუქი სასჯელით აწარმოებს სასამართლო მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით, სასჯელის სისრულეში მომყვანი ორგანოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის ან სამეთვალყურეო კომისიის ერთობლივი წარდგინებით.

თვრამეტი წლის ასაკამდე ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრდებულთა მიმართ სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასჯელის დანიშნული ვადის არანაკლებ ერთი მესამედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ.

სასჯელისაგან ვადამდე გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა სასჯელის დანიშნული ვადის არანაკლებ ნახევრის ფაქტიურად მოხდის შემდეგ შეიძლება შეეფარდოს იმ პირთ

1) რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ვადით არანაკლებ ხუთი წლისა თვრამეტი წლის ასაკამდე ჩადენილი განზრახი დანაშაულისათვის;

2) რომელთაც წინათ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოიხადეს სასჯელი განზრახი დანაშაულისათვის და ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე კვლავ თვრამეტი წლის ასაკამდე ჩაიდინეს განზრახი დანაშაული, რისთვისაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა;

3) რომელთაც თვრამეტი წლის ასაკამდე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ჩაიდინეს განზრახი დანაშაული, რისთვისაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით სასჯელის დანიშნული ვადის ორ ნაკლებ ორი მესამედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ შეიძლება შეეფარდოს იმ პირთ

1) რომელთაც წინათ მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა განზრახი დანაშაულისათვის და სასჯელისაგან ვადამდე პირობით იყვნენ გათავისუფლებული ან სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სასჯელით ჰქონდათ შეცვლილი, თუ მათ თვრამეტი წლის ასაკის მიღწევამდე და სასჯელის მოუხდელი ვადის გასვლამდე კვლავ ჩაიდინეს განზრახი დანაშაული, რისთვისაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა;

2) რომლებიც მსჯავრდებული არიან თვრამეტი წლის ასაკამდე ჩადენილი დანაშაულისათვის: ბანდიტიზმისათვის (მუხლი 78-ე), ყაჩაღობისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით დამამძიმებელ გარემოებებში (96-ე და 152-ე მუხლების მეორე ნაწილები), განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (მუხლი 104-ე), გაუპატიურებისათვის, რომელიც ჩადენილია ჯგუფის მიერ ან რომელსაც მძიმე შედეგი მოჰყვა, აგრეთვე არასრულწლოვანის გაუპატიურებისათვის (117-ე მუხლის მესამე ნაწილი), საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (მუხლი 209[1]), განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის (228-ე მუხლის მესამე ნაწილი), ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის მოწყობისათვის (230-ე მუხლის პირველი ნაწილი), ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალების ან ფეთქებადი ნივთიერების გატაცებისათვის ყაჩაღური თავდასხმის გზით (240-ე მუხლის მესამე ნაწილი), ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა დამზადებისა ან გასაღებისათვის (252-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები) და ნარკოტიკული და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცებისათვის (252[1] მუხლი).

11.363

თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილის გამასწორებელი სამუშაოებით შეცვლისას გამასწორებელი სამუშაოები დაინიშნება ამ სახის სასჯელისათვის კანონით დაწესებული ვადის ფარგლებში და არ შეიძლება აღემატებოდეს თავისუფლების აღკვეთის მოუხდელ ვადას.

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის გამოყენებისას სასამართლოს შეუძლია დააკისროს მშრომელთა გარკვეულ კოლექტივს ან პირს, მათი თანხმობით, სასჯელის მოუხდელი ნაწილის განმავლობაში მეთვალყურეობა გაუწიონ ვადამდე პირობით გათავისუფლებულ პირს ან იმ პირს, რომელსაც სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეცვლილი აქვს უფრო მსუბუქი სასჯელით, და გასწიონ მათთან აღმზრდელობითი მუშაობა.

თუ თვრამეტი წლის ასაკამდე სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებულმა პირმა სასჯელის მოუხდელი ნაწილის განმავლობაში ჩაიდინა ახალი განზრახი დანაშაული, რისთვისაც მას მსჯავრი ედება თავისუფლების აღკვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თით, სასამართლო მას დაუნიშნავს სასჯელს ამ კოდექსის 42-ე მუხლით გათვალისწინებული წესით“.

9. 57-ე მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9) ის პირნი, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით და განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები, თუ ისინი სასჯელის (ძირითადისა და დამატებითის) მოხდის დღიდან რვა წლის განმავლობაში არ ჩაიდენენ ახალ დანაშაულს, და თუ ამასთან სასამართლო დაადგენს, რომ მსჯავრდებული გამოსწორდა და საჭირო აღარ არის იგი მიჩნეულ იქნეს ნასამართლობის მქონედ“.

ამავე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ პირი სასჯელისაგან ვადამდე იყო გათავისუფლებული კანონით დადგენილი წესით, მაშინ ნასამართლობის გაქარწყლებისათვის საჭირო ვადა გამოითვლება ფაქტიურად მოხდილი სასჯელისაგან (ძირითადისა და დამატებითისაგან) გათავისუფლების მომენტიდან.

თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეცვლილია უფრო მსუბუქით, ნასამართლობის მოხსნის ვადები გამოითვლება სასჯელის მოხდილი ვადიდან. უფრო მსუბუქი სასჯელის (ძირითადისა და დამატებითის) მოხდის მომენტიდან.

თუ პირი, რომელმაც მოიხადა სასჯელი, ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე კვლავ ჩაიდენს დანაშაულს, ნასამართლობის გაქარწყლებისათვის საჭირო ვადის მიმდინარეობა წყდება. პირველი დანაშაულისათვის ნასამართლობის გაქარწყლების ვადა ხელახლა გამოითვლება უკანასკნელი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის (ძირითადისა და დამატებითის) ფაქტიურად მოხდის შემდეგ. ამ შემთხვევაში პირი ითვლება ნასამართლობის მქონედ ორივე დანაშაულისათვის, ვიდრე გავიდოდეს ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლობის გაქარწყლების ვადა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1970 წლის 29 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

75 ქ. თბილისის ლენინის, კალინინის, ორჯონიკიძის და ოქტომბრის სახელობის რაიონების ახალი საზღვრების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. ქ. თბილისის ლენინისა და ორჯონიკიძის სახელობის რაიონების ტერიტორიისა და მოსახლეობის მნიშვნელოვნად გაზრდის გამო მიზანშეწონილად ჩაითვალოს ამ რაიონების ტერიტორიის ნაწილის გადაცემა ქ. თბილისის ოქტომბრისა და კალინინის სახელობის რაიონებისათვის.

2. ამასთან დაკავშირებით დაწესდეს ქ. თბილისის ლენინის, კალინინის, ორჯონიკიძისა და ოქტომბრის სახელობის რაიონების ახალი საზღვრები:

ა) **ლენინის სახელობის რაიონი** — ჩრდილოეთით საზღვარი იწყება მდინარე მტკვარზე რკინიგზის ხიდთან, ჩრდილო-აღმოსავლეთით გაივლის ყოფილ დაბა ავჭალის დასახლებას, გადაჭრის მდინარე გლდანს და მიჰყვება მის მარცხენა ნაპირს ზემო დინებისაკენ, აღწევს გლდანის გზატკეცილისა და 520-ე ჰორიზონტალის გადაკვეთამდე, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით ებჯინება ხევძმარას, რომელსაც მიჰყვება ქვევით, ავჭალის დასახლებისაკენ მიმავალ გზამდე და მიემართება კენსის მთისაკენ 501,5 სიმაღლემდე, აქედან მიდის დასავლეთისაკენ ქალაქის განაშენიანების საზღვრამდე, აღწევს თბილისის ზღვისაკენ მიმავალ ახალ გზამდე, გაჰყვება ამ გზას ხუდადოვის ქუჩამდე და ამ ქუჩით — რკინიგზის გადასასვლელ ხიდამდე, შემდეგ რკინიგზის ვაკისით მიდის დიდუბის ხიდამდე, იქიდან ჩრდილოეთისაკენ — მდინარე მტკვრის დინების ზემოთ, რკინიგზის ხიდამდე.

ბ) **ოქტომბრის სახელობის რაიონი** — ჩრდილოეთით საზღვარი იწყება თბილისის ზღვისაკენ მიმავალ ახალ გზასთან, ლენინის სახელობის რაიონის საზღვრიდან, მიდის სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ ქალაქის განაშენიანების გასწვრივ — კიბალჩიჩის ხევამდე, მიყვება ამ ხევს, ურიცკის და სამოქალაქო ქუჩებს, ბარათაშვილისა და ღვინის აღმართებს — მეტეხის ხიდამდე, აქედან მიემართება ჩრდილოეთით — მდინარე მტკვრის დინების ზემო წელისაკენ ელბაქიძის სახელობის ხიდამდე, შემდეგ ამ ხიდიდან მარჯანიშვილის, საბჭოს და ხუდადოვის ქუჩებით — თბილისის ზღვისაკენ მიმავალ ახალ გზამდე;

გ) **კალინინის სახელობის რაიონი** — ჩრდილოეთით საზღვარი იწყება ჩელუსკინელთა სახელობის ხიდიდან, მიჰყვება მტკვრის დინებას კ. მარქსის სახელობის ხიდამდე, მიემართება ვოლოდარსკის, ფხოვის, რუსის, პუშკინის, შალვა დადიანის და ენგელსის ქუჩებით, შემდეგ მთის ფერდობით კომკავშირის ხეივნის ქვემოთ, იქიდან ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის საზღვრით და მდინარე დაბახანის ხეობით მდინარე სამარხის ხევამდე. შემდეგ მიემართება ჩრდილოეთისაკენ — კოჯრის გზატკეცილით, მიდის მის გასწვრივ, შემოუვლის მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიას დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან და მოუხვევს ჩრდილოეთით ქალაქის განაშენიანების რაიო-

ნისაკენ და მიდის მის გასწვრივ აღმოსავლეთისაკენ ვარაზის ხევის გადაკვეთამდე, ეშვება ამ ხევით კეკელიძის ქუჩამდე, მიჰყვება მას და ვარაზის ხევის ქუჩას ჩელუსკინელთა სახელობის ხიდამდე;

დ) **ორჯონიკიძის სახელობის რაიონი** — ჩრდილოეთით საზღვარი იწყება მდინარე დიღომურას შესართავთან, მიდის ქვემოთ, — მტკვრის დინებით, ჩელუსკინელთა სახელობის ხიდამდე, შემდეგ ამ ხიდით ჩელუსკინელთა ქუჩის გავლით გადაჭრის გმირთა მოედანს, გაივლის ვარაზის ხევისა და კეკელიძის ქუჩებს და ებჯინება კალინინის სახელობის რაიონის საზღვარს, მოუხვევს ჩრდილო-დასავლეთით და მიდის ქალაქის განაშენიანების გასწვრივ, შემოუვლის ვაკის დასახლებას, გაივლის ბაგების დასახლების დასავლეთით, ეშვება მდინარე ვერამდე, მიჰყვება მის დინებას საბურთალოს დასავლეთ ნაწილამდე, შემოუვლის საბურთალოს, მოუხვევს ჩრდილოეთისაკენ და მიემართება საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ 200 მეტრ მანძილზე, შემოუვლის დასავლეთიდან სოფელ ვაშლიჯვარას, მიდის მდინარე დიღომურამდე და მიჰყვება მის დინებას მდინარე მტკვრამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 8 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

76 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში შემდეგი დამატებანი და ცვლილებანი.

1. სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 234. სისტემატური მაწანწალობა ან მათხოვრობა

სისტემატური მაწანწალობა ან მათხოვრობა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც წინათ გასამართლებული იყო მაწანწალობის ან მათხოვრობისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე“.

2. დაემატოს სისხლის სამართლის კოდექსს მუხლი 234[1] შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 234[1]. პარაზიტული ცხოვრების შეწყვეტის და შრომითი მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების შესრულებისაგან ბოროტად თავის არიდება

პარაზიტული ცხოვრების შეწყვეტის და შრომითი მოწყობის შესახებ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების შესრულებისაგან ბოროტად თავის არიდება იმ პირის მიერ, რომელიც ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით.

იგივე ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც წინათ გასამართლებული იყო ამავე მუხლის პირველი ნაწილით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“.

3. დადგინდეს, რომ იმ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 234[1] მუხლით, წარმოებს მოკვლევა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სასამართლო ან პროკურორი საჭიროდ მიიჩნევს — წინასწარი გამოძიება.

ამის შესაბამისად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლის პირველ ნაწილს ციფრის 234 შემდეგ დაემატოს ციფრი 234[1].

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 14 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

77 იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დადგინდეს, რომ სრულწლოვან შრომისუნარიან მოქალაქეებს, რომლებსაც არ სურთ შეასრულონ უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური მოვალეობა — იშრომონ პატიოსნად თავისი უნარის შესაბამისად, თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას, იძულებით მოიყვანენ შინაგან საქმეთა ორგანოებში და ოფიციალურად გააფრთხილებენ, რომ დაუშვებელია პარაზიტული ცხოვრება და აუცილებელია შრომითი მოწყობა 15 დღის ვადაში.

2. იმ პირთ, რომელნიც თავს აარიდებენ შრომით მოწყობას და განაგრძობენ ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას ამ ბრძანებულების პირველი მუხლის შესაბამისად ოფიციალური გაფრთხილების შემდეგ, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩილებით საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ჩაებამენ იმ საწარმოებში (მშენებლობებზე), რომლებიც განლაგებულია მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის რაიონში ან სხვაგან, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური რესპუბლიკის, რესპუბლიკის ფარგლებში.

3. იმ საწარმოთა (მშენებლობათა) ადმინისტრაცია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სადაც იგზავნებიან ის პირნი, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, ვალდებული არიან მოაწყონ ისინი სამუშაოზე, გასწიონ მათთან აღმზრდელობითი მუშაობა და მიიღონ ზომები საწარმოო კოლექტივებში მათი დამაგრებისათვის.

ამ პირთა სამუშაოდან დათხოვნის ყველა შემთხვევის შესახებ საწარმოს (მშენებლობის) ადმინისტრაცია ვალდებულია 3 დღის ვადაში აცნობოს იმ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება მათი შრომითი მოწყობის შესახებ.

4. იმ მოქალაქეთა გამოვლენას, რომელნიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას, და ამასთან დაკავშირებულ ყველა გარემოებათა შემოწმებას, აწარმოებენ შინაგან საქმეთა ორგანოები, როგორც მათ განკარგულებაში არსებული მასალების, ისე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივითა და მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე. შემოწმება უნდა ჩატარდეს 10 დღის ვადაში.

თუ ეს პირნი ოფიციალური გაფრთხილების შემდეგაც ამ ბრძანებულების პირველი მუხლით დადგენილ ვადაში არ შეუდგებიან პატიოსან შრომას, შინაგან საქმეთა ორგანოები მასალებს მათს შესახებ წარუდგენენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. ეს მასალები განხილულ უნდა იქნეს 10 დღის ვადაში იმ პირის თანდასწრებით, რომელიც თავს არიდებს საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას.

5. რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილების შესრულებას იმ პირთა სამუშაოზე გაგზავნის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, კონტროლს უწევენ შინაგან საქმეთა ორგანოები.

6. თუ პირი, რომელიც ეწევა ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას, ბოროტად არიდებს თავს პარაზიტული ცხოვრების შეწყვეტის და შრომითი მოწყობის თაობაზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების შესრულებას, საწარმოს (მშენებლობის) ადმინისტრაცია ვალდებულია ამის შესახებ 5 დღის ვადაში აცნობოს შინაგან საქმეთა ორგანოებს ამ პირის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 234[1] მუხლით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხის გადასაწყვეტად.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულება „იმ პირთა პასუხისმგებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას" (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1966 წ., № 11, მუხ. 185).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 14 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

78 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნას საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია 1970 წლის 17 ივნისს, ქალაქ თბილისში.

სესიას განსახილველად წარედგინოს შემდეგი საკითხები:

1. ბუნების დაცვის მდგომარეობა. ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი რესპუბლიკაში.
2. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის დამტკიცება.
3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 18 მაისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

79 ქალაქ რუსთავში და ხაშურის რაიონში დეპუტატთა ჯგუფების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ქალაქ რუსთავში და ხაშურის რაიონში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებთან შექმნილი დეპუტატთა ჯგუფები გარკვეულ მუშაობას ეწევიან საბჭოების წინაშე მდგომი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის. დეპუტატთა ჯგუფების შექმნამ ხელი შეუწყო საარჩევნო ოლქებში დეპუტატთა გააქტიურებას, ამომრჩევლებთან კავშირის განმტკიცებას და საბჭოების საქმიანობაში მშრომელთა მასების ჩაბმას. ქალაქ რუსთავში შექმნილია დეპუტატთა 11, ხოლო ხაშურის რაიონში — 8 ჯგუფი.

ომრაელისობას აქვს ძუშაობის გეგმები, რომლებშიც ძირითადად გათვალისწინებულია საბჭოს სესიისა და აღმასკომის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის კონტროლი და, აგრეთვე, მიკრორაიონის გზების, ქუჩების, დასახლებული ადგილების კეთილმოწყობის, მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხები. დეპუტატთა ჯგუფები კონტროლს აწესებენ ამომრჩეველთა წინადადებებისა და განაწესების შესრულების, საზოგადოებრივი წესრიგისა და შრომის კანონმდებლობის დაცვის, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებისადმი.

ქ. რუსთავის დეპუტატთა ჯგუფების ინიციატივით შემოწმებულ იქნა ამომრჩეველთა წინადადებებისა და განაწესების შესრულების მიმდინარეობა. არსებული მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე დეპუტატთა ჯგუფმა მთავარგაზის სარემონტო-სამშენებლო უბნის ადმინისტრაციის წინაშე დააყენა საკითხი მშენებელთა დასახლების გაზიფიკაციის დაჩქარების შესახებ. მიღებული ზომების შედეგად იგი ექსპლოატაციაში შევიდა ვადაზე 2 თვით ადრე, ასევე მიმდინარე რემონტი გაუკეთდა მე-11 საშუალო სკოლის შენობას და სხვა.

№ 3 საბინაო საექსპლოატაციო კანტორასთან შექმნილმა დეპუტატთა ჯგუფმა ჩაატარა ახალგაზრდობის შეკრება, სადაც საინტერესო საუბრებით გამოვიდნენ დეპუტატები და ახალგაზრდები. ჯგუფმა მოაწყო რეიდი საზოგადოებრივი წესრიგის შემოწმების მიზნით. შეისწავლა მშრომელთა 58 განცხადებასაჩივარი, აღმასკომს განსახილველად წარუდგინა ერთი საკითხი და მონაწილეობა მიიღო სესიისათვის საკითხის მომზადებაში.

1970 წლიდან საყოველთაო საშუალო განათლების შემოღებისათვის მზადებასთან დაკავშირებით დეპუტატთა ყველა ჯგუფმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდობის აღწერაში და საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ახალგაზრდობის ჩაბმის საკითხის გამორკვევაში.

ხაშურის საქალაქო საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის ინიციატივით მოგვარდა ორი ქუჩის ელექტროგანათებისა და მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფის საკითხები.

დაბა სურამისა და სოფ. ცოცხნარის დეპუტატთა ჯგუფის მოთხოვნის შესაბამისად სოფ. ოძისის რვაწლიანი სკოლის შენობის რემონტისათვის აღმასკომის მიერ გამოყოფილი იქნა 7000 მანეთი. ამავე ჯგუფის ინიციატივით სურამის სკვერში მოეწყო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ამსახველი სტენდი, მოწესრიგდა ავტობუსების მოძრაობა ცოცხნარა-ხაშურის მიმართულებით. ჯგუფმა მოაწყო რაიონის წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელების შეხვედრა მოსახლეობასთან და უზრუნველყო ამ შეხვედრაზე მოსახლეობის მიერ დაყენებული საკითხების დადებითად გადაწყვეტა.

სოფლების ალის და წაღვლის დეპუტატთა ჯგუფის წინადადებით და ინიციატივით უმოკლეს დროში შეკეთდა სასმელი წყლის გაყვანილობა სოფელ ბრილში.

ამასთან ერთად აღნიშნულ დეპუტატთა ჯგუფებს თავიანთ საქმიანობაში გააჩნიათ ნაკლოვანებანი. დეპუტატთა ჯგუფის ყველა ხელმძღვანელი ჯერ კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევ ვერ ერკვევა თავიანთ უფლებებში. ხაშურის რაიონში დეპუტატთა 6 ჯგუფიდან ოთხს არ გააჩნია სამუშაო გეგმა და ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა, როგორც ხაშურის, ასევე რუსთავის დეპუტატთა ყველა ჯგუფი არ ღებულობს აქტიურ მონაწილეობას საბჭოების სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადებაში, საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ძოსახლეობისათვის გასაცნობად და მის შესასრულებლად. სათანადო კონტაქტი არ აქვთ დამყარებული მუდმივ კომისიებთან.

რუსთავის საქალაქო და ხაშურის რაიონული საბჭოს აღმასკომები პერიოდულად არ ატარებენ დეპუტატთა ჯგუფების ხელმძღვანელებისათვის თათბირ-სემინარებს, შეკრებებს მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით, დეპუტატთა ჯგუფები თავიანთ საქმიანობის შესახებ ანგარიშებით არ გამოდიან სესიებსა და მოსახლეობის წინაშე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს რუსთავის საქალაქო და ხაშურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) პერიოდულად მოაწყონ დეპუტატთა ჯგუფების შეკრებები, სემინარები, რომლებზეც განმარტონ მათი უფლება-მოვალეობანი, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი დადგენილებანი და ნორმატიული აქტები საბჭოთა მშენებლობის სხვადასხვა საკითხებზე;

ბ) უზრუნველყონ დეპუტატთა ჯგუფების აქტიური მონაწილეობა დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობაში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობაში;

გ) მხარი დაუჭირონ დეპუტატთა ჯგუფების შემოქმედებით ინიციატივას, გულისხმიერად და დროულად განიხილონ მათ მიერ დაყენებული საკითხები, უზრუნველყონ მათი აქტიური მონაწილეობა მუდმივ კომისიებთან ერთად აღმასკომის სხდომების თუ სესიისათვის საკითხების მომზადებასა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაში.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების აღგილობრივ საბჭოებს და მათ აღმასრულებელ კომიტეტებს უფრო ფართოდ გამოიყენონ საორგანიზაციო-მასობრივ მუშაობაში დეპუტატთა ჯგუფების შექმნის პრაქტიკა, განსაკუთრებით სასოფლო საბჭოდან დაშორებულ სოფლებში, აამაღლონ დეპუტატთა აქტივობა საარჩევნო ოლქებში და წარმართონ მათი საქმიანობა საბჭოების წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადაჭრისაკენ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 26 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

80 ამხ. ე. მ. ჩიქვინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად დაშვების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაშვებულ იქნეს ამხ. ეთერი მიხეილის ასული **ჩიქვინიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე მის არჩევამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 26 მაისი.

განყოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

81 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“:**

1. ედუარდ გრიგოლის ძე **გიორგაძე** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

2. ამირან პავლეს ძე **მამულაშვილი** — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსი.

3. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **ხუტაშვილი** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს მე-4 სპეციალურ-გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი მეხანძრე.

4. ალექსანდრე დავითის ძე **ჯეირანაშვილი** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს მე-2 სპეციალური გასამხედროებული სახანძრო ნაწილის განყოფილების მეთაური.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 26 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

82 ამხ. ა. მ. ლაბახუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. არქიპო მირონის ძე **ლაბახუა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 8 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

83 ამხ. ვ. გ. რევაზიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვალერიან გრიგოლის ძე **რევაზიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 8 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

84 ამხ. გ. ნ. გაბისონიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო განათლების ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის დირექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორი ამხ. გრიგოლ ნიკოლოზის ძე **გაბისონია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1970 წლის 15 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

85 პროფესორ ა. ნ. რაზმაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცწლეულთან დაკავშირებით, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე, **პროფესორი** ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **რაზმაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1970 წლის 15 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

86 ამხ. მ. მ. ლელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცწლეულთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მიხეილ მიხეილის ძე **ლელაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1970 წლის 20 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

87 ამხ. შ. ა. დოლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრი ამხ. შოთა ანდრიას ძე **დოლიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1970 წლის 22 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

88 ამხ. გ. ნ. მირიანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ზომათა, საზომ ხელსაწყოთა და სტანდარტების კომიტეტის რწმუნებულის მოადგილე ამხ. გიორგი ნიკოლოზის ძე **მირიანაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1970 წლის 22 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

89 ამხ. ვ. ვ. პოკროვსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, სსრკ სახელმწიფო ბანკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ ოსეთის საოლქო კანტორის მმართველი ამხ. ვლადიმერ ვლადიმერის ძე პოკროვსკი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 22 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

90 ამხ. ბ. ლ. ციციშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამშენებლო ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მთავარი ბუღალტერი ამხ. გიორგი ლუარსაბის ძე ციციშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 22 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

91 ამხ. ა. ი. ჭიპაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რკინიგზის ტრანსპორტზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრო სამსახურის უფროსი ამხ. ალექსანდრე ივანეს ძე ჭიპაშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 22 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

92 პროფესორ მ. ბ. კანკავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროორექტორი, პროფესორი მიხეილ ბართლომეს ძე **კანკავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 28 მაისი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორის ინფორმაცია მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნისას შრომის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის შესახებ.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკაში ჯეროვანი ყურადღება ექცევა მუშა-მოსამსახურეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას, შრომის კანონმდებლობის განმტკიცებას. მცირდება მშრომელთა სამუშაოდან არაკანონიერად დათხოვნის შემთხვევები.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ადგილი აქვს სამინისტროების, უწყებების, წარმოება-დაწესებულებათა ცალკეული ხელმძღვანელების მიერ შრომის კანონმდებლობის უხეშ დარღვევას.

წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, ხშირ შემთხვევაში, არ უთანხმებენ პროფესიული კავშირების საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის საკითხს. მაგრამ, ზოგჯერ, ეს კომიტეტები არასწორად ეთანხმებიან ადმინისტრაციას მუშაკის სამუშაოდან განთავისუფლების საკითხში.

ჯერ კიდევ შეინიშნება ნაკლოვანებანი სასამართლოების მუშაობაში ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას. სასამართლოები იშვიათად იხილავენ მატერიალური პასუხისმგებლობის იმ პირებზე დაკისრების საკითხს, რომელთა მიზეზით მუშაკი სამუშაოდან უკანონოდ იქნა დათხოვნილი.

წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები საკმარის ყურადღებას არ აქცევენ სასამართლოების მიერ გამოტანილ კერძო განჩინებებს შრომის კანონმდებლობის დარღვევის მიზეზთა შესახებ, ხოლო სახალხო სასამართლოები ხში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად არ ინტერესდებიან თუ რა ზომები იქნა მიღებული ამ განჩინებათა საფუძველზე.

სასამართლოებში არ ხორციელდება ჯეროვანი საპროკურორო ზედამხედველობა, პროკურორები არ იყენებენ მათთვის მინიჭებულ უფლებებს შრომის კანონმდებლობის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე იშვიათად იხილავენ საკითხს საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის კანონმდებლობის დაცვის შესახებ, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ შრომის კანონმდებლობის დარღვევის ხელისშემწყობ მიზეზთა გამოვლინებასა და მათ დროულად აღმოფხვრას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დასახა ქმედითი ღონისძიებანი, რათა საქართველოს სსრ პროკურატურამ, უმაღლესმა სასამართლომ, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ შრომის კანონმდებლობის დაცვა მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან განთავისუფლებისას.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი სამტრედიის რაიონის წარმოება-დაწესებულებებში მოქალაქეთა მიღების, მათი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ. პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ რაისაბჭოს აღმასკომმა გარკვეული მუშაობა გასწია მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვის და მათი აღრიცხვის მოსაწესრიგებლად. სათანადო კონტროლია დაწესებული წერილებსა და საჩივრებში აღძრული საკითხების გადაწყვეტაზე.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესიაზე, აღმასკომის სხდომებზე პერიოდულად ისმენენ საკითხს მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ, სახავენ სათანადო ღონისძიებებს და კონტროლს უწევენ მათს შესრულებას. რაისაბჭოს აღმასკომში, მის განყოფილებებსა და სამმართველოებში, სასოფლო და სადაბო საბჭოებში დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მოქალაქეთა პირადი მიღება.

მიუხედავად ამისა მშრომელთა მიღებისა და მათი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს. არის შემთხვევები, როდესაც მოქალაქეთა საჩივრებში აღძრული კანონიერი მოთხოვნები დროულად არ სრულდება. ზოგ შემთხვევაში ადგილი აქვს ცალკეული განცხადებებისა და საჩივრების დაგვიანებით განხილვას.

მცირეა კონტროლზე აყვანილი განცხადებებისა და საჩივრების რაოდენობა, რაც იწვევს განმეორებით საჩივრებს როგორც ადგილობრივ, ისე რესპუბლიკის ზემდგომ ორგანოებში. აღმასკომსა და მის განყოფილებებში, სამმართველოებში, აგრეთვე რაიონის წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სათანადო ყურადღება არ ექცევა საჩივრების გამომწვევი მიზეზების შესწავლასა და ანალიზს. ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი ჯერ კიდევ სუსტად მონაწილეობენ ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კონკრეტული ღონისძიებანი დაუსახა სამტრედიის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომს აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, მშრომელთა მიღების, მათი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმის შემდგომ გასაუმჯობესებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **საგეგმო-საბიუჯეტო** კომისიამ განიხილა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის ამხ. კ. ი. ქავთარაძის მოხსენება სამინისტროს მიერ 1969 წლის და 1970 წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგების შესახებ. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ სამინისტრომ გადაჭარბებით შეასრულა 1969 წლის სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების, ქალაქების სატელეფონო სადგურების სიმძლავრის გაზრდის, საქალაქთაშორისო სატელეფონო ხაზების, კავშირგაბმულობის საწარმოთა ქსელის გაფართოებისა და სხვა გეგმები.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის შესრულების საქმეში კავშირგაბმულობის სამინისტროს გააჩნია გარკვეული ნაკლოვანებანი.

შარშან არ შესრულებულა პროდუქციის მოცულობის, შემოსავლის, მოგებისა და ბიუჯეტში შენატანების გეგმები.

ანალოგიური მდგომარეობაა 1970 წლის პირველ კვარტალშიც.

სუსტად ვითარდება სოფლის სატელეფონო კავშირი.

ქ. თბილისში აბონენტთა ზრდის პროცენტი შესრულდა მხოლოდ 67 პროცენტით, ტელეფონ-ავტომატებისა — 66,4 პროცენტით.

ნაკლოვანებებია სატელეგრაფო კავშირის მუშაობაში, ტელეგრამების დაკვეთებისას ადგილი აქვს დამახინჯებებს, ირღვევა ტელეგრამების დანიშნულებისამებრ ჩაბარების საკონტროლო ვადები. ტელეფონისტების დაბალი კვალიფიკაციის გამო საკმარისად არ არის გამოყენებული საქალაქთაშორისო ხაზები.

ჯერ კიდევ დიდია მასობრივ პროფესიათა მუშაკების დენადობა.

განხილული საკითხის გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს მუდმივი კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა: ი. გეგენავამ, ი. ბოგდანოვმა, უ. კაზარიანმა, ლ. ისაკაძემ, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ბ. ჯაფარიძემ, „საქმთავარმომარაგების“ მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ ე. ხარაბაძემ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილემ რ. ლეიაშვილმა.

კომისიის მუშაობა შეაჯამა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა დ. გელაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივმა კომისიამ მოისმინა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ბ. გელბახიანის მოხსენება რესპუბლიკაში სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მშენებლობის მდგომარეობის შესახებ. სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მშენებლობაში მოპოვებულია მნიშვნელოვანი წარმატებანი.

1966-69 წლებში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 14 საავადმყოფო, 4 სამშობიარო სახლი, ერთი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, ერთი ტუბდისპანსერი მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრებით აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 16 საავადმყოფო 640 საწოლით, 19 ამბულატორია, სამი სანეპიდსადგური და ერთი პოლიკლინიკა. მშრომელებმა მიიღეს 6088 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ამასთანავე, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მშენებლობაში ჯერ კიდევ არის არაერთი სერიოზული ნაკლი.

სისტემატურად არ სრულდება კაპიტალური მშენებლობის გეგმები. 1969 წლის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა შესრულდა 94 პროცენტით, მიმდინარე წლის ოთხი თვისა — 71,7 პროცენტით.

ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მიმდინარე წლის ოთხი თვის გეგმა არ შეუსრულებიათ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, ტრესტ „ინჟმშენს“, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „საქკომუნრემმშენს.“

არის შემთხვევები, როცა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო დაგვიანებით ანაზღაურებს შესრულებული სამუშაოს ღირებულებას.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ: მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები დ. ჯიჯელავა, დ. იოსელიანი, გ. ხუნდაძე, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი შ. თათარიშვილი, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე ს. ჩხარტიშვილი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ლ. ქავთარაძე, ტრესტ „ზაკტრანსსტროის“ მმართველის მოადგილე ვ. ქურდაძე, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „კომუნრემმშენის“ მმართველი ი. თოთაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სარემონტო-სამშენებლო ტრესტის მმართველი ვ. ტყეშელაშვილი, ტრესტ „ინჟმშენის“ მე-4 სამშენებლო სამმართველოს უფროსი ი. მარშანია და სხვ.

კომისიებმა განხილულ საკითხებზე მიიღეს სათანადო დადგენილებანი.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 26 მაისის ბრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლით“** დაჯილდოვდა 301 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან	22
ქ. რუსთავიდან	6
ასპინძის რაიონიდან	6
ახალციხის „	21
ბოგდანოვკის „	6
ბოლნისის „	10
გარდაბნის „	85
გორის „	5
ზუგდიდის „	32
თელავის „	7
კასპის „	15
ლაგოდეხის „	15
ლანჩხუთის „	3
მარნეულის „	48
მცხეთის „	5
ყვარლის „	6
ჩოხატაურის „	2
სამხრეთ ოსეთის ა/ო-დან	7